

## ლელა ხაჩიძე (საქართველო)

### „მეხელთა“ მოღვაწეობის ისტორიიდან

#### (სტეფანე სანანოისძე — ჭყონდიდელი)

X საუკუნის ქართველ ჰიმნოგრაფთა შორის, რომლებიც „ოქროს ხანას“ ქმნიან ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში, მოიხსენიება სტეფანე სანანოისძეც. აკად. კ. კეკელიძე მის შემოქმედებას განიხილავს დავით ტბელთან ერთად იმ მიზეზის გამო, რომ მათი სახელები „ერთად და განუყრელად“ მოიხსენიება ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში (კეკელიძე 1960: 178).

ერთ-ერთი უძველესი ცნობა სტეფანე სანანოისძისა და დავით ტბელის შესახებ ეკუთვნის XVIII ს-ის მწიგნობარს — ზაქარია გაბაშვილს. ამ ცნობის მიხედვით: „დავით და სტეფანე, ქართველთა გვარისანი, იერუსალიმს მოიწინეს და მუნ შეემეცნეს ელინთა ენამზეობასა: და პირველად მათ გადმოთარგმნეს რაოდენნიმე საეკლესიონი წიგნი ბერძულისაგან ქართულად და არაბთა ენისაგანცა საღმრთონი წიგნი გადმოიღეს მრავლითა შრომითა“ (კეკელიძე 1960: 178). ბაგრატ ბატონიშვილის მიერ (XVI ს.) ისინი მოიხსენიებიან, როგორც „წმიდანი და სასწაულთმოქმედნი“, მათი მოღვაწეობა კი თარიღდება, როგორც „უწინარეს მოჰამედისა“. გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება მათი მოღვაწეობის შესახებ VII, VIII-IX ან X საუკუნეში.

მათი მოღვაწეობის დაზუსტების საშუალებას იძლევა ეფრემ მცირე: „ეგრეთვე სანატრელსა სტეფანეს სანანოისძესა უთარგმნია საკითხავი დაუჯდომელთა და ცხოვრებას თეოქტისტე ლეზველისა და სხუანიცა“ (კეკელიძე 1960: 178).

სტეფანე სანანოისძისა და დავით ტბელის სახელები ერთად მოიხსენიება რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერაშიც“: „ღირსთა მამათა ჩუენთა დავით ტბელისა და სტეფანე სანანოისძისა საუკუნომცა არს ჳსენებას და კურთხევას მათი“.

სტეფანე სანანოისძე რომ ჭყონდიდის ეპისკოპოსი ყოფილა, ჩანს მისივე საგალობლის მინაწერიდან, რომელიც მიქაელ მოდრეკილის „იადგარშია“ დაცული: „სტეფანე ჭყონდიდლისა, ნეტარისა სანანოისძისანი“ (ინგოროყვა 1913: რნა).

1913 წელს პ. ინგოროყვამ გამოაქვეყნა სტეფანე სანანოისძის 2 საგალობელი მიქაელ მოდრეკილის „იადგარის“ მიხედვით (ინგოროყვა 1913: რნა-რნზ).

კ. კეკელიძის მიხედვით სტეფანე სანანოისძესა და დავით ტბელს „უნდა ეცხოვრათ და ემოღვაწნათ არაუადრეს მეათე საუკუნისა“, რასაც მოწმობს თვით სახელწოდებები ტბელი (მტბევარი) და ჭყონდიდელი (კეკელიძე 1960: 178).

მეცნიერის აზრით, ესაა „სტეფანე ეპისკოპოსი ჭყონდიდისა“, რომლის კითხვას ევსევი პამფილელის წიგნის კანონიკურობის შესახებ პასუხობენ იოანე და ექვთიმე მთაწმიდელები. აქედან გამომდინარე, მისი მოღვაწეობის ხანად მიჩნეულია X საუკუნის მეორე ნახევარი, შესაძლოა, ამ საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი (კეკელიძე 1960: 180).

მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ დაცულია სტეფანე სანანოისძის 2 საგალობელი ნათლისღების და წმ. მონამე აბოსი და სტეფანე პირველმონამისა. ეს უკანასკნელი აკროსტიქულია და გარითმული. აკროსტიქი იძლევა სახელს სტეფანე. ეს საგალობლები გამოქვეყნებულია პ. ინგოროყვას მიერ (ინგოროყვა 1913: რნა-რნზ).

კ. კეკელიძე ასახელებს მის სხვა თარგმანებსაც. ესენია: ღვთისმშობლის დაუჯდომელი ანუ „აკათისტო“, „ცხოვრება თეოქტისტე ლეზველისაჲ“ და გრიგოლ ნოსელის „შესხმაჲ წმიდისა სტეფანე პირველმონამისაჲ“. ეფრემ მცირის მიხედვით მას „სხუანიცა“ უთარგმნია. სტეფანე სანანოისძის ეს თარგმანები მეტაფრასული რედაქციისაა.

სტეფანე სანანოისძისა და დავით ტბელის შემოქმედებას კ. კეკელიძე ასე აფასებს: „დავითისა და სტეფანეს დამსახურებას სამშობლოს წინაშე, ჩანს, თანამედროვენი დიდად აფასებდნენ. ამით აიხსნება, რომ რუის-ურბნისის კრება მათ სახელებს საგანგებოდ უსვამს ხაზს“ (კეკელიძე 1960:182).

უკვე კ. კეკელიძის მიერ თავმოყრილი ამ ცნობებიდან ნათლად იკვეთება ის გარემოება, რომ **სტეფანე სანანოისძე მეტად მნიშვნელოვანი, დღეისათვის ნაკლებად ცნობილი პიროვნებაა ჩვენი წარსულიდან.**

სტეფანე სანანოისძის მოღვაწეობის დროის განსაზღვრისას, ვფიქრობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი გარემოება: მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ დაცულ სტეფანე სანანოისძის საგალობელს, რომელიც ნათლისღებასა და წმ. აბოს ეძღვნება, ერთვის შემდეგი სათაური: „სტეფანე ჭყონდიდელისა ნეტარისა სანანოისძისანი. ქრისტე, დიდებულ ყავ სული მათი“. ამ სათაურის მიხედვით, სტეფანე სანანოისძე კრებულის შედგენის დროისათვის (978-988 წწ.) უკვე გარდაცვლილია. ეს ფაქტი არ ცვლის იმ გარემოებას, რომ ის X საუკუნის მოღვაწე უნდა იყოს. ამასვე მოწმობს მისი საგალობლების ენა — კლასიკური, დახვეწილი ძველი ქართული, რომელიც X საუკუნის დიდი ქართველი ჰიმნოგრაფებისთვისაა დამახასიათებელი.

სტეფანე სანანოისძის საგალობლები ძველი ქართული სასულიერო პოეზიის შესანიშნავი ნიმუშებია. მათში შერწყმულია ავტორის ღრმა თეოლოგიური განსწავლულობა და მხატვრული ოსტატობა.

აშკარაა დიდი ხელოვანისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ნიშანი — მისი საგალობლების კომპოზიციური მთლიანობა და აზრის თანმიმდევრულობა — ერთი თემის მრავალმხრივი გააზრება. სანიმუშოდ მოვიტანთ ფრაგმენტს მისი მცირე ფორმის საგალობლიდან, რომელიც ეძღვნება ნათლისღების საუფლო დღესასწაულს და წმ. აბოს ხსენებას:

„აგარის ნათესავთა — ძირთა მათ უნაყოფოთა,  
ნერგთა მათგან ეკლოვანთა,  
ვითარცა ვარდი შუენიერი ფერითა მენამულითა  
გამოჩნდა ნეტარი ჰაბო და სულნელ-ყო ეკლესიაჲ  
ნელსაცხებელთა წილ სხურებითა სისხლისაჲთა“.

ამავე თემას ავტორი შემდეგშიც უბრუნდება:

„მკსნელო, დღეს დაემტკიცა თქუმიული იგი პირველი,  
ვითარმედ აღმოსავალით, ბლუარით მოვიდენ წიაღად აბრაჰამისა“.

ასევე შთამბეჭდავია მომდევნო ჰიმნოგრაფიული კანონი, რომელიც ამავე თემას ეძღვნება. მასში წმ. აბოს მიერ მაჰმადის რჯულის უარყოფა და გაქრისტიანება ასეა გადმოცემული:

„განიძარცუა კაცი ძუელი საქმითურთ და შეიმოსა ძალი ქრისტესი“. ამავე საგალობელში გვხვდება ე.წ. „საქვეყნო სათხოვარნიც: „ან ევედრე ქრისტესა, რაჲ-

ძლევაა მოჰმადლოს მეფესა ჩუენსა“. მონამის ღვანლი საგალობელში ასეა შეფასებული: „და განსწმიდე ქართლი სისხლისა შენისა დათხევითა, მონამეო!“

წმ. აბოს მოთმინება ავტორის მიერ ასეა ახსნილი: „სიყუარულისა საკურველმან შეკრა გონებაა მონამისაა“.

განსხვავებული ხასიათისაა წმ. სტეფანე პირველმონამისადმი მიძღვნილი მცირე ფორმის საგალობელი. იგი გამოირჩევა მელოდიურობით და დინამიურობით. საგალობელი გართმულია და შედგება მოკლე სტრიქონებისაგან:

„ერი ბრალსა დასდებდა  
და კრებული ქვასა დაჰკრებდა,  
ხოლო წმიდა სტეფანე ქრისტესა ადიდებდა,  
სიკუდილსა მას იხარებდა,  
სულსა შეჰვედრებდა,  
ერისათჳს ევედრებოდა  
და გკრგუნოსან — იქმნებოდა“.

საგალობლის ავტორი, როგორც ჩანს, კარგად იცნობს სტეფანე პირველმონამის „ცხოვრებას“, საიდანაც მას მოაქვს შემდეგი ეპიზოდი:

„ფარისევალმან მოშურნემან  
და შემდგომად ჭურმან რჩეულმან  
სიკუდილდ მისცა სტეფანე პავლე მოციქულმან,  
ხოლო ერმან უშჯულომან  
კრებულმან ამომან,  
ქვას დაჰკრიბა უწყალომან.“

864 წელს შედგენილ „სინურ მრავალთავში“, სხვა საკითხავებთან ერთად, შესულია „წმიდა სტეფანეს წამების“ ძველი ქართული თარგმანი, რომელშიც ვკითხულობთ. „მაშინ განრისხნა სავლე და ალაზრზინა ათასისთავი იგი, რათა თავი მოჰკუეთონ ღირსსა მას ღმრთისასა. და სცეს მას მახვლითა და არა იპოვა ყოვლადვე წყლულება ქედსა მისსა. მერმე მოიქცა სავლე და უბრძანა ქვისა დაკრებაა ახოვანსა მას ღმრთისასა...“

წმინდანის ცხოვრების სწორედ ამ მონაკვეთს ემყარება სტეფანე სანანოისძის მიერ შთამბეჭდავად დახატული წმ. სტეფანე პირველმონამის აღსრულება.

**„წამებაჲ სტეფანესი“, რომელიც ქართულ ენაზე, როგორც ჩანს, ადრევე უთარგმნიათ, სტეფანე სანანოისძის ამ საგალობლის ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა.** წმინდანის ხილვა, რომელზეც ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება წმ. სტეფანეზე საუბრისას, მისი „წამების“ ქართულ თარგმანში ასეა გადმოცემული: „და ვითარ ილოცვიდა ოდენ წმიდას სტეფანე და მეყსეულად ძრვას იყო დიდ და განეხუნეს სამყარონი ცისანი და იხილა ცათა შინა მამას, მჯდომარწი ზედა საყდართა მბრწყინვალეთა და ძწი სესუ ქრისტე მარჯუენით მამისა და ტრედი ერთი სპეტაკი გარდამოფრინვიდა და მოაქუნდა გკრგუნი მბრწყინვალწი ვითარცა მზისთუალი“.

ამ ხილვაზე ყურადღებაა გამახვილებული „წმ. სტეფანეს წამების“ სხვაენოვან ვერსიებშიც.

ყველა მათგანის სათავეა „საქმე მოციქულთა“:

„ხოლო იგი სავსე იყო სარწმუნოებითა და სულითა წმიდითა, აღჰხედა ცად და იხილა დიდებაჲ ღმრთისაჲ და იესუ, მდგომარჴ მარჯუენით ღმრთისა“ (საქმე მოციქულთა 7,55).

პირველმონამის ამ ხილვით იწყება სტეფანე სანანოისძის საგალობელი:

„ტალავარნი ზეცისანი  
განგებოვნეს შენ ზესკნელისანი,  
სტეფანე და იხილენ საყდარნი  
და ერნი ნათლისანი  
ზეშთა კრებოჯლისანი,  
მაქებელნი მამისანი  
ძისა და სოჯლისა წმიდისანი“.

სტეფანე პირველმონამის შესახებ არსებობს ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა. მისი სახე შთამბეჭდავადაა ასახული სასულიერო მწერლობის სხვადასხვა დარგში, ფრესკულ მხატვრობაში, ცნობილ მხატვართა ტილოებზე. მის სახელზეა აგებული მრავალი ტაძარი ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში. **ქართული ჰიმნოგრაფია, როგორც ჩანს, სათანადო ყურადღებას იჩენს მის მიმართ.**

სტეფანე სანანოისძის განსაკუთრებულ ინტერესს ამ დიდი წმინდანისადმი მოწმობს ის გარემოებაც, რომ მას ბერძნულიდან უთარგმნია გრიგოლ ნოსელის „შესხმას წმიდისა სტეფანე პირველმონამისა“, რომლის ტექსტსაც გამოსაცემად ვამზადებთ.

მიქაელ მოდრეკილის „იადგარზე“ მუშაობისას, წლების წინ, ჩვენი ყურადღება მიიქცია ამ კრებულში არაერთგზის გამეორებულმა სავედრებელმა ფორმულამ: „ქრისტე, შეიწყალე სტეფანე“. ეს ფორმულა, ყველა შემთხვევაში, თვით მიქაელის ხელითაა დანერგილი (ხაჩიძე 1989: 27). იგი ხშირად თვით საგალობელთა სათაურებშია შესული. რიგ შემთხვევაში იგი ასომთავრულადაა მიწერილი საგალობელთა რომელიმე კომპლექტის დასასრულთან. აღნიშნულ საგალობელთა უმეტესობას ხელნაწერში მითითებული აქვს ავტორები. ასე რომ სტეფანეს ავტორობა გამორიცხებულია. სტეფანე არც ხელნაწერის გადამწერია. მისი ვინაობის დადგენა შესაძლებელი გახდა ხელნაწერის 200r-ზე მიქაელის ხელითვე გაკეთებული შენიშვნით: „ქრისტე, სტეფანე — მოძღუარი ჩემი შეიწყალე!“

ამრიგად, მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ არაერთგზის მოხსენიებული სტეფანე მიქაელ მოდრეკილის მოძღვარია.

სულიერ მოძღვართა მოხსენიება ხელნაწერთა გადამწერების ანდერძებში ხშირად გვხვდება, სავედრებელ ფორმულად ქცევა კი — იშვიათად. ამგვარი დამოკიდებულება, ერთი მხრივ, ნათლად წარმოგვიდგენს მიქაელ მოდრეკილს, როგორც ერთგულ და ღირსეულ მონაფეს, მეორე მხრივ, ინტერესს აღძრავს მისი სულიერი მოძღვრის — სტეფანეს ვინაობის კვლევისათვის. შესაძლოა, მიქაელ მოდრეკილის მოძღვარი სტეფანე სანანოისძე — ჭყონდიდელი იყოს, რომლის მოღვაწეობის ხასიათი და მასშტაბი, როგორც ჩანს, აგრეთვე სანიმუშო იყო. იგი, შესაძლოა, „მეხელთა“ მეორე ან მესამე თაობის წარმომადგენელი იყოს, რომლებსაც საკუთარი მონაფეები ჰყავდათ.

**დამონშებანი:**

- Ingorokva, Pavle. *Dzvel - Kartuli Sasuliero P'oezia*. Tbilisi: 1913 (ინგოროყვა, პავლე. *ძველ-ქართული სასულიერო პოეზია*. თბილისი: 1913).
- K'ek'elidze, K'ormeli. *Dzveli Kartuli Lit'erat'uris Ist'oria*. Tbilisi: gamomtsemloba "sabchota saqart-velo", 1960 (კეკელიძე, კორნელი. *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*. თბილისი.: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1960).
- Khachidze, Lela. *Mikael Modrek'ilis Erti Savedrebeli Pormula*. Gulani, Tbilisi: gamomtsemloba "metsniereba". 1989 (ხაჩიძე, ლელა. *მიქაელ მოდრეკილის ერთი სავედრებელი ფორმულა*. გულანი, თბილისი.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1989).
- Saqme Motsikulta*, Ed. Ilia Abuladze. *Dzveli Kartuli Enis Dzeglebi*. 7. Tbilisi: gamomtsemloba "metsnierebas", 1956 (*საქმე მოციქულთაჲ, ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ*. ძველი ქართული ენის ძეგლები. 7. თბილისი.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1956).

**Lela Khachidze**  
(Georgia)

**On the History of *Mekheli's* Activity**  
(Stephane Sananoisdze – Chqondideli)

**Summary**

**Key words:** Stephane Sananoisdze – Chkondideli, hymnography, St. Stephen the first martyr.

Georgian hymnographers of the 10<sup>th</sup> century create “Golden Age” in the history of Georgian hymnography. Among them there is Stephane Sananoisdze whose creativity has been less studied in scholarly literature.

According to Academician K.Kekelidze, Stephane Sananoisdze must have lived and created in the 10<sup>th</sup> century or in the last quarter of this century (Kekelidze 1960: 180). The name of this hymn-writer is mentioned with great respect in the decree of Ruis-Urbnisi Church Council.

Under Stephane Sananoisdze's name two hymns included in Michael Modrekili's collection of hymns “Iadgari” (978-988) have been preserved. The first of them is devoted to the festivals of our Lord: the Baptism of Christ and commemoration of the saint martyr Abo Tbileli and the second one - to Stephane the first martyr. The hymns were published by P. Ingorokva (Ingorokva 1913: 135-142).

As is seen, Stephane Sananoisdze was also engaged in translational activity. Several of his translations are indicated in scholarly literature. They are: “Akathistos” to the Virgin, “The Life of Theoktiste of Lesbos” and Gregory of Nyssa's “The Praise to Saint Stephen the First Martyr”. These translations have not yet been published and studied. According to the data of a well-known 11<sup>th</sup>-century Georgian scholar, Ephrem Mtsire, Stephane Sananoisdze also had other translations which have not yet been revealed.

According to the data came down to us, we must suggestion that **Stephane Sananoisdze was an extremely important figure, less known today**. His creative works require monographic study.

In our view, while determining Stephane Sananoisdze's period of activity the following circumstance is to be taken into account: Stephane Sananoisdze's hymn preserved in Michael Modrekili's "Iadgari", which is dedicated to the Baptism and St. Abo, the following title is supplemented: "The Blessed Stephane Sananoisdze - Chqondidi . Christ, great mercy to their soul". According to this title by the time of compilation of the collection (978-988) Stephane Sananoisdze had already died. This fact does not change the circumstance that he must have been a scholar of the 10<sup>th</sup> century. This is also evidenced from the language of his hymns – classical, perfect old Georgian which is typical for great Georgian hymn-writers of the 10<sup>th</sup> century.

Stephane Sananoisdze's hymns rank among the most perfect specimens of the old Georgian ecclesiastic poetry. They represent a blend of author's deep theological education and artistic skill.

Another obvious sign characteristic to a great artist is compositional wholeness of his hymns and sequence of thought - multifaceted understanding of one theme.

In Stephane Sananoisdze's hymn which is devoted to the Baptism special importance of this feast is clearly expressed, also St. Abo's contribution whose commemoration in Georgian church is set on the very same day (January 6). National tendencies are clearly felt in the hymn.

Stephane, the first martyr is also the object of Stephane Sananoisdze's special attention. It was he to whom II hymn included in Michael Modrekili's "Iadgari" is devoted. The study of the hymn testifies to the fact that the author is familiar with St. Stephen's "Martyrdom", the Georgian translation of which is included in "Sinaitic Polycephalion" (Sinuri Mravaltavi) of 864 AD. The comparison has shown that Stephane Sananoisdze starts with the vision of the saint. According to the saint's "Martyrdom" describes he also the death of St. Stephen, the first martyr. Thus, the hagiographic composition – St. Stephen's "Martyrdom", is one of the most important sources of Stephane Sananoisdze's hymn.

This hymn of is remarkable for its melody and dynamics. It is rhythmical that is a rarity in the history of Georgian hymnography. Interestingly, Stephane Sananoisdze translated from Greek Gregory of Nyssa's "The Praise to St. Stephen, the First Martyr".

When working on Michael Modrekili's "Iadagi" our attention in this collection was paid to the repetition of the formula of entreaty: "Christ, have a mercy on Stephane!" In all instances this formula is written with Michael's own hand. It is often included in hymn titles themselves. In a number of cases it is inscribed with an alphabet known as Asomtavruli at the end of some sets of hymns. The majority of the mentioned hymns have an index to authors in the manuscript. Thus, Stephane's authorship is excluded. Stephane is neither a manuscript copyist. The establishment of his identity became possible with the help of an inscription in MS 200r written with Michael's own hand: "Lord, have a mercy on Stephane – my spiritual father!"

Thus, Stephane who is mentioned not but once in Michael Modrekili's "Iadgari", is Michael Modrekili's spiritual father.

The mentioning of spiritual fathers in the colophons by manuscript copyists is common but turning it into the formula of entreaty is rarely found. Such attitude, on the one hand, clearly shows Michael Modrekili as a devoted and worthy disciple, and, on the other hand, arouses interest in studying the identity of his spiritual father Stephane. Presumably, Michael Modrekili's spiritual father was Stephane Sananoisdze - Chkondideli, the character and scale of whose activity, as is seen, was also exemplary.